

၉၈၈၅၅

დინო ბუცატი

თათრების უდაბნო

დიდგენის
ბიბლიოთეკა

დინო ბუცატი
თათრების უღაბნო

Dino Buzzati
IL DESERTO DEI TARTARI

იტალიურიდან თარგმნა მადონა ბოკუჩავამ

© Dino Buzzati Estate.
Published by arrangement with The Italian Literary Agency.
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-887-6

www.dioгене.ge

I

სექტემბრის ერთ დილას ჯოვანი დროგო, რომელიც სულ ახლახან გახდა ოფიცერი, ქალაქიდან გაემგზავრა, რათა თავისი პირველი დანიშვნის ადგილას – ციხესიმაგრე ბასტიანიში ჩასულიყო.

ჯოვანი დილაუთენია ადგა და პირველად ჩაიცვა ლეიტენანტის ფორმა. მერე ნავთის ლამპის შუქზე სარკეში ჩაიხედა, მაგრამ ის სიხარული ვერ იგრძნო, რომელსაც ელოდა. სახლში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ მეზობელი ოთახიდან მომავალი ფაჩუნი არღვევდა: დედა ლოგინიდან დგებოდა, რომ შვილს დამშვიდობებოდა.

დადგა დღე, რომელსაც ჯოვანი ამდენი წელი ელოდა, მისი ნამდვილი ცხოვრების დასაწყისი. იმ უფერულ დღეებზე ფიქრობდა, სამხედრო აკადემიაში რომ გაატარა. გაახსენდა სწავლის მოსაწყენი საღამოები, როცა ესმოდა, როგორ სეირნობდა ხალხი ქუჩაში, თავისუფალი და, ალბათ, ბედნიერი. ზამთარში გამთენიისას უნდა ამდგარიყო გაყინულ საძინებელში, სადაც თავს დასაჯის შიში დასტრიალებდათ. გაახსენდა, რა ნელა გადიოდა დღეები, თითქოს დასასრული არ უჩანდა.

ახლა, ბოლოს და ბოლოს, ოფიცერი გახდა. აღარ იყო საჭირო წიგნებისთვის თავის დაკვლა, არც სერჟანტის ხმის გაგონებაზე კანკალი. ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა. ის დღეები, საძულველად რომ ეჩვენებოდა, სამუდამოდ გაქრა, გარდაიქმნა თვეე-

ბად და წლებად, რომლებიც არასოდეს განმეორდებოდა. დიახ, ის უკვე ოფიცერი იყო. ახლა ფული ექნებოდა, ლამაზი ქალებიც, ალბათ, ყურადღებას მიაქცევდნენ. მაგრამ საბოლოო ჯამში ჯოჯანი დროგომ იგრძნო, რომ საუკეთესო ხანა – ადრეული სიყმაწვილის წლები – დასრულდა. ამგვარი ფიქრებით შეპყრობილი დაჟინებით იყურებოდა სარკეში, ცდილობდა, საკუთარ სახეში რამე მოსაწონი ეპოვა, მაგრამ მხოლოდ ნაძალადეგ ლიმილს ხედავდა.

რა უაზრობაა! რატომ ვერ შეძლო, დამშვიდობებისას დედისთვის მოვალეობის გამო მაინც გაელიმა? რატომ არ აქცევდა ყურადღებას მის ბოლო დარიგებებს, მხოლოდ ხმა ესმოდა, ასეთი მშობლიური და თბილი. რატომ ტრიალებდა ოთახში უაზროდ და ნერვიულად, ვერ პოულობდა საათს, ცხენოსნის წკეპლას, ქუდს, ყველაფერი ხომ თავის ადგილას ეწყო! მართლა საომრად ხომ არ მიდიოდა! მისი ამხანაგებიც, ათეულობით ლეიტენანტი, ზუსტად ამ დროს ტოვებდნენ მშობლიურ სახლებს, მაგრამ სიცილ-ხარხარით, თითქოს წვეულებაზე მიდიოდნენ. როცა დედას ელაპარაკებოდა, რატომ ვერ მოძებნა ალერსიანი და დამამშვიდებელი სიტყვები აზრს მოკლებული ბანალური ფრაზების ნაცვლად? წუხილი იმაზე, რომ პირველად ტოვებდა ძველ სახლს, სადაც მის დაბადებას დიდ იმედებს უკავშირებდნენ, შიში, რომელიც თან სდევს ნებისმიერ ცვლილებას, ალელვება დედასთან დამშვიდობებისას – ეს ყოველივე სულს უმღვრევდა, მაგრამ ამ ყველაფერზე მეტად სხვა რამ აწუხებდა, რის ამოცნობასაც ვერ ახერხებდა; რაღაც ბუნდოვანი წინათგრძნობა ჰქონდა: თითქოს საბედისწერო მოგზაურობას იწყებდა და უკან დაბრუნება არ ეწერა.

მეგობარმა ფრანჩესკო ვესკოვიმ ცხენდაცხენ გააცილა რაღაც მანძილზე. ცარიელ ქუჩებში ცხენების თქარათქური ისმოდა. თენდებოდა. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. აქა-იქ, ბოლო სართულებზე, დარბები იღებოდა და ფანჯარაში გამოჩენილი დაღლილი სახეები წამით გულგრილად ავლებდნენ თვალს მზის ამოსვლის ზღაპრულ სურათს.

მეგობრები დუმდნენ. დროგო ფიქრობდა, როგორი შეიძლებაო-
და ყოფილიყო ციხესიმაგრე ბასტიანი, მაგრამ წარმოდგენაც ვერ
შეძლო. არც ის იცოდა ზუსტად, სად მდებარეობდა ან რა მანძილი
აშორებდა იქამდე. ზოგმა უთხრა, ცხენით ერთი დღის სავალიაო,
ზოგმა – ცოტა ნაკლებიაო. ერთი რამ ცხადი იყო: იქ არავინ იყო
ნამყოფი.

ქალაქის ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ვესკოვიმ მხიარულად
დაიწყო ლაპარაკი უმნიშვნელო რაღაცეებზე, თითქოს დროგო სა-
სეირნოდ მიდიოდა. მერე უცებ თქვა:

– ხედავ იმ ბალახით დაფარულ გორაკს? ჰო, სწორედ იმას. ხე-
დავ ნაგებობას მთის წვერზე? ეს უკვე ციხესიმაგრის ნაწილია, მისი
მეწინავე სანგარი. მახსოვს, იმ მხარეს ბიძაჩემთან ერთად ვიყავი
სანადიროდ ორი წლის წინ.

მალე ქალაქი უკან მოიტოვეს. ახლა გზად ხვდებოდათ სი-
მინდის ყანები, მინდვრები, შემოდგომის წითელი ტყეები. ერთად
მიუყვებოდნენ მზის სხივებით განათებულ გზას. ჯოვანი და ფრან-
ჩესკო ბავშვობიდან მეგობრობდნენ: დიდი ხნის განმავლობაში მე-
ზობლად ცხოვრობდნენ, თანატოლ ბავშვებთან ერთად თამაშობ-
დნენ, ერთნაირი გატაცებები ჰქონდათ. დღე ისე არ გავიდოდა,
რომ ერთმანეთი არ ენახათ. მერე ვესკოვის ოჯახი გამდიდრდა.
დროგომ ოფიცრის კარიერა აირჩია. ახლა იგრძნობოდა, როგორ
შორს იყვნენ ერთმანეთისგან. ის მიმზიდველი და ფუფუნებით აღ-
სავსე ცხოვრება, რომლითაც ვესკოვი ცხოვრობდა, დროგოსთვის
უცხო იყო. მას წინ მნიშვნელოვანი და უცნობი რამ ელოდა. ჯო-
ვანის ეჩვენებოდა, რომ მათი ცხენებიც კი განსხვავებულად დგამ-
დნენ ნაბიჯს: მისი ცხენი ლალი არ იყო, დაღლილს ჰგავდა. თითქოს
ცხოველიც კი გრძნობდა, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა.

გზა აღმართზე ადიოდა. ზევით რომ ავიდნენ, დროგომ უკან
მიიხედა, მზე ხელით მოიჩრდილა და ქალაქს გახედა. სახურავე-
ბიდან კვამლი ამოდიოდა. სადღაც შორს მისი სახლიც მოჩანდა.
თავისი ოთახის ფანჯარა იცნო. ალბათ, ჩვეულებრივ, ღია იყო.
ქალები ყველაფერს მოაწესრიგებდნენ, სანოლს აალაგებდნენ, ნივ-

თებს კარადაში შეინახავდნენ. მერე დარაბებს დაკეტავდნენ. თვიდან თვემდე იქ არავინ შევა, გარდა მტვრის ნაწილაკებისა ან კარგ ამინდში მზის სხივი თუ შეიჭყიტება. თვალნინ წარმოუდგა თავისი ბავშვობის პატარა სამყარო. დედა მის დაბრუნებამდე ყველაფერს ხელუხლებლად დატოვებდა, რომ, როცა დაბრუნდებოდა, დიდი ხნის არყოფნის შემდეგ გულის სიღრმეში თავი ისევ პატარა ბიჭად ეგრძნო. რა თქმა უნდა, დედა თავს იტყუებდა, უნდოდა, უცვლელად შეენახა ბედნიერი დრო, რომელიც სამუდამოდ გაქრა. იმედოვნებდა, რომ შეაჩერებდა დროის სრბოლას, ეგონა, თუ შვილის დაბრუნებისას კარებს და ფანჯრებს გააღებდა, ყველაფერი ისევ ისე იქნებოდა, როგორც ადრე.

მეგობრები ერთმანეთს გულთბილად გამოემშვიდობნენ და დროგომ მარტომ განაგრძო გზა მთისკენ. ციხესიმაგრისკენ მიმავალ ხეობას რომ მიაღწა, მზე ზენიტში იყო. მარჯვნივ მთის მწვერვალზე ის სანგარი მოჩანდა, რომელიც ვესკოვიმ დაანახვა. მოეჩვენა, რომ იქამდე არც ისე შორი იყო.

ისე ეჩქარებოდა იქ მისვლა, რომ საჭმელადაც არ შეჩერებულა. დაღლილი ცხენი ციცაბო კლდეებს შორის მიმავალ გზაზე გააქენა. გზაში იშვიათად ხვდებოდა ვინმე. ერთ მეურმეს ჰკითხა, რა დრო დასჭირდებოდა ციხესიმაგრემდე მისასვლელად.

– ციხესიმაგრე? რომელი ციხესიმაგრე? – კითხვა შეუბრუნა კაცმა.

– ბასტიანი, – უპასუხა დროგომ.

– ამ მხარეში ციხესიმაგრეები არ არის. არც კი მსმენია რამე.

როგორც ჩანს, ამ მხარეს ცუდად იცნობდა. დროგომ გზა განაგრძო. მღელვარებამ შეიპყრო, როცა შეამჩნია, რომ დღე ნელ-ნელა ილეოდა. ყურადღებით აკვირდებოდა ხეობის მაღალ მწვერვალებს, რათა ციხესიმაგრე დაენახა. მისი წარმოდგენით, ძველებური ციხესიმაგრე უნდა ყოფილიყო, ძალიან მაღალი გალავნით. მაგრამ დრო გადიოდა და სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ფრანჩესკოს რაღაც შეეშალა. სანგარი, რომელზეც მეგობარი მიუთითებდა, უკან მოიტოვა. ამასობაში კი უკვე ბნელდებოდა.

უნდა გენახათ, როგორ თითისტოლად მოჩანდა დროგო და მისი ცხენი მთების ფონზე, რომლებიც სულ უფრო მაღალი და მიუვალი ხდებოდა. დროგო აღმართს მიუყვებოდა. იმედოვნებდა, რომ დაღამებამდე ციხესიმაგრეს მიაღწევდა. მაგრამ მასზე უფრო სწრაფი იყო ჩრდილი, რომელიც იმ ხეობიდან ამოდიოდა, სადაც მდინარე გრიანობდა. როცა ხეობის მოპირდაპირე მხარეს ჩრდილმა დროგოს სიმაღლემდე მიაღწია, თითქოს სიჩქარე შეანელა, რომ მგზავრს მხნეობა არ დაეკარგა, მაგრამ მერე ისევ მაღლა ასრიალდა კლდოვან შვერილებსა და ხრამებზე და მხედარი დაფარა.

მთელი ხეობა უკვე იისფერმა ბინდმა მოიცვა, მხოლოდ ბალახით დაფარულ მაღალ თხემებს ჯერ კიდევ ანათებდა მზე.

ამ დროს მოწმენდილი ცის ფონზე დროგოს წინ შავად აღიმართა უზარმაზარი სამხედრო ნაგებობა, რომელიც ძველი და უკაცურიელი ჩანდა. ჯოვანის გული აუჩქარდა: ეს შეიძლებოდა ციხესიმაგრე ყოფილიყო; მაგრამ გარშემო ყველაფერს, კედლებისა და პეიზაჟის ჩათვლით, უსიამოვნო, ავის მომასწავებელი იერი ედო.

ირგვლივ შემოუარა, მაგრამ შესასვლელი ვერ იპოვა. უკვე ბნელდებოდა, მაგრამ არც ერთი ფანჯარა არ იყო განათებული, მაღალი გალავნის კიდეზე არც გუშაგების ჩირადდნები შეიმჩნეოდა. თეთრი ღრუბლების ფონზე მხოლოდ ღამურა დაფრინავდა. ბოლოს დროგომ დაძახება გადანყვიტა:

– ჰეი! არის აქ ვინმე?

გალავნის ძირში ჩანოლილი მუქი ჩრდილიდან კაცი გამოვიდა. გარეგნულად მანანნალას ჰგავდა. ჭალარა წვერი ჰქონდა, ხელში პატარა ტომსიკა ეჭირა. კიდევ რამის გარჩევა ძნელი იყო. ბინდბუნდში მხოლოდ თვალების თეთრი გარსი უელავდა. დროგომ მადლიერების გრძნობით შეხედა.

– ვის ეძებთ, ბატონო? – შეეკითხა კაცი.

– ციხესიმაგრეს ვეძებ. ეს არის?

– აქ ციხესიმაგრე აღარ არის, – უპასუხა უცნობმა გულთბილად. – ყველაფერი დაკეტილია. ათი წელი იქნება, აღარავინ ყოფილა.

– აბა, ახლა სად არის ციხესიმაგრე? – ჰკითხა დროგომ, რომელიც უცებ გაბრაზდა ამ კაცზე.

– რა ციხესიმაგრე? ის ხომ არა? – უცნობმა რაღაცაზე მიუთითა შორს.

უახლოეს კლდეებს შორის ნაპრალში, რომელიც უკვე სიბნელეში იყო ჩანთქმული, ქაოსურად მიჯრილი თვალუნვდენელი მწვერვალების იქით, ჩამავალი მზის უკანასკნელმა სხივებმა, თითქოს ჯადო გაფანტაო, შიშველი გორა და მის წვერზე რაღაც უცნაური მოყვითალო ფერის მკვეთრად მოხაზული ტეხილი ხაზი გაანათა – ციხესიმაგრის კონტურები.

ოჰ, რა შორს იყო! ვინ იცის, კიდეც რამდენი საათი დასჭირდებოდა იქ მისასვლელად, ცხენი კი უკვე ღონემიხდილი იყო. დროგო მოჯადოებულებით მისჩერებოდა თვალწინ გადაშლილ სურათს. თავს ეკითხებოდა, რით შეიძლებოდა მოეხიბლა ამ უკაცრიელ პატარა ციხესიმაგრეს, თითქმის მიუვალს და ასე განცალკევებულს სამყაროსგან. რა საიდუმლოებას ინახავდა? ამასობაში ღამდებოდა. მზის უკანასკნელი სხივები ნელა ეთხოვებოდა შორეულ გორას და ბასტიონების ყვითელ კედლებს სწრაფად იპყრობდა ღამის მოლურჯო ჩრდილები.

II

სიბნელემ დროგოს გზაში მოუსწრო. ხეობა ვიწრო იყო და ციხესიმაგრე მაღალმა მთებმა დაფარეს. შუქი არსად ჩანდა, ვერც ღამის ფრინველების ხმას გაიგონებდი. ხანდახან მხოლოდ წყლის შორეული ხმაური ისმოდა.

დაძახება სცადა, მაგრამ ექო მის ხმას უკან აბრუნებდა და ავის მომასწავებელ ელფერს სძენდა. ცხენი გადაჭრილ ხეზე მიაბა გზის პირას, სადაც პირუტყვი ბალახის პოვნას შეძლებდა, თვითონ მინაზე დაჯდა, ზურგით ფერდობს მიეყრდნო და იმის ლოდინში, როდის ჩაეძინებოდა, დაფიქრდა გასავლელ გზაზე, ხალხზე, რომელთაც ციხესიმაგრეში ნახავდა, მომავალ ცხოვრებაზე. მაგრამ ეს ფიქრი სიხარულს არ ანიჭებდა. ცხენი დროდადრო მინას ფლოქვებს ურტყამდა დროგოსთვის უსიამოვნოდ და უცნაურად.

გამთენიისას გზას გაუდგა. მოპირდაპირე ხეობის ფერდობზე, დაახლოებით იმავე სიმაღლეზე, სხვა გზაც შენიშნა. ცოტა ხნის მერე შეამჩნია, რომ იქ რაღაც მოძრაობდა. მხეს ხეობა ჯერ კიდევ მთლიანად არ გაენათებინა, იქაურობა თითქმის ისევ ჩაბნელებული იყო და ეს ხელს უშლიდა, კარგად გაერჩია რამე. დროგომ ცხენი ააჩქარა და იმ მოძრავ ფიგურას რომ დაენია, დაინახა, რომ კაცი იყო – ცხენზე ამხედრებული ოფიცერი.

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა ვილაც, მისნაირი ადამიანი, ამხანაგი, რომელთანაც შეეძლო ეცინა და ეხუმრა, ელაპარაკა მომა-

ვალ ცხოვრებაზე, ნადირობებზე, ქალებსა და ქალაქზე. ქალაქზე, რომელიც ახლა დროგოს შორეულ სამყაროში ეჩვენებოდა.

ხეობა დავიწროვდა. ორივე გზა ერთმანეთს მიუახლოვდა და ჯოვანი დროგომ დაინახა, რომ მეორე მხედარი კაპიტანი იყო. თავიდან დაძახება ვერ გაბედა – უადგილოდ და უპატივცემულობად მიიჩნია, მხოლოდ რამდენჯერმე მიიტანა მარჯვენა ხელი ქუდთან და მიესალმა, მაგრამ ის არ პასუხობდა. აშკარა იყო, დროგო ვერ შეამჩნია.

– ბატონო კაპიტანო! – დაუძახა ბოლოს მოთმინებადაკარგულმა ჯოვანიმ და ხელახლა მიესალმა.

– რა იყო? – უპასუხა ხმამ მეორე მხრიდან. კაპიტანი გაჩერდა, თავაზიანად მიიტანა ხელი ქუდთან და დროგოს პასუხს დაელოდა. მის კითხვაში სიმკაცრე არ იგრძნობოდა, უფრო გაოცება ეტყობოდა.

– რა იყო? – ექოსავით გაისმა ამჯერად ცოტა გაღიზიანებული კაპიტნის ხმა.

ჯოვანი გაჩერდა, მომრგვალებული ხელები პირთან მიიტანა და მთელი ხმით დაიყვირა:

– არაფერი! მინდოდა, მოგსალმებოდით!

უაზრო ახსნა იყო, სანყენიც კი კაპიტნისთვის, რადგან შეიძლებოდა ეფიქრა, მასხრად მიგდებსო. დროგომ იმნამსვე ინანა თავისი საქციელი. რა სულელურ სიტუაციაში ჩაიგდო თავი იმის გამო, რომ არ უნდოდა, მარტო ყოფილიყო.

– ვინ ხართ? – დაუძახა კაპიტანმა.

დროგოს ამ შეკითხვის ეშინოდა. ეს უცნაური დიალოგი ხეობის ერთი მხრიდან მეორისკენ დაკითხვას ჰგავდა. უსიამოვნო დასაწყისი იყო, რადგან შეიძლებოდა, კაპიტანი ციხესიმაგრეიდან ყოფილიყო. მაგრამ პასუხი უნდა გაეცა.

– ლეიტენანტი დროგო! – ხმამალლა წარუდგა ჯოვანი.

კაპიტანი მას არ იცნობდა, თანაც ამ მანძილზე, შეიძლებოდა, მისი სახელი ვერც გაეგონა, მაგრამ, როგორც ჩანს, პასუხმა დააკმაყოფილა, რადგან მშვიდად განაგრძო გზა და თან ანიშნა,

რომ მალე შეხვდებოდნენ. მართლაც, ნახევარი საათის შემდეგ იმ ადგილას, სადაც ხეობა ძალიან ვიწროვდებოდა, ხიდი გამოჩნდა: გზები შეერთდა.

ხიდზე ერთმანეთს შეხვდნენ. კაპიტანი დროგოს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. ორმოცი წლის იქნებოდა, შეიძლება ცოტა მეტიც. გამხდარი და კეთილშობილური სახე ჰქონდა. უბრალო სამხედრო ფორმა ეცვა, მაგრამ ბრწყინვალედ მორგებული.

– კაპიტანი ორტიცი, – გაეცნო ის.

როცა ხელი ჩამოართვა, დროგოს მოეჩვენა, რომ ბოლოს და ბოლოს ციხესიმაგრის სამყაროში შედიოდა. ეს პირველი კავშირი იყო, რომელსაც სხვებიც მოჰყვებოდა და აქ უცხო აღარ იქნებოდა.

კაპიტანმა გზა განაგრძო, დროგოც მიჰყვა, ოღონდ ოდნავ ჩამორჩა ჩინით უფროსისადმი პატივისცემის ნიშნად. ელოდებოდა, რომ კაპიტანი უკმაყოფილებას გამოხატავდა საუბრის დაწყების უხერხული მცდელობის გამო, მაგრამ ის ჩუმად იყო, ალბათ, ლაპარაკის სურვილი არ ჰქონდა, ან მორცხვი იყო და არ იცოდა, რით დაენყო. რადგან გზა ციცაბო ფერდობზე გადიოდა და მზე ძლიერ აცხუნებდა, ცხენები ერთმანეთს ნელა მიჰყვებოდნენ.

ბოლოს კაპიტანმა თქვა:

– წელან თქვენი სახელი ვერ გავიგე. დროზო, ხომ?

ჯოვანიმ უპასუხა:

– დროგო, „გ“ ასოთი, დროგო ჯოვანი. ბატონო კაპიტანო, მინდა, ბოდიში მოგიხადოთ, ცოტა ხნის წინ რომ დაგიძახეთ. იცით, – დაამატა შეცბუნებულმა, – ხეობის მეორე მხრიდან თქვენი წოდება ვერ დავინახე.

– ნამდვილად ვერ დაინახავდით, – დაეთანხმა ორტიცი, რომ დროგო უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა და გაიცინა.

ცოტა ხანს კიდევ იარეს ერთად. ორივე თავს ცოტა შებოჭილად გრძნობდა. მერე ორტიცმა იკითხა:

– სად მიდიხართ?

– ბასტიანის ციხესიმაგრეში. ეს გზა ხომ იქ მიდის?

– კი, ნამდვილად იქ მიდის.

გაჩუმდნენ. ცხელოდა. ირგვლივ მთები აღმართულიყო, უზარმაზარი, ბალახით დაფარული ველური მთები.

– ესე იგი, ციხესიმაგრეში მიდიხართ? ალბათ, რაღაც შეტყყო-ბინება მიგაქვთ? – ჰკითხა ორტიცმა.

– არა, ბატონო კაპიტანო, სამხედრო სამსახურისთვის მივდივარ, იქ გამამწესეს.

– გარნიზონის პირად შემადგენლობაში გაგამწესეს?

– ვფიქრობ, რომ კი. ეს პირველი დანიშვნის ადგილია.

– ესე იგი, პირად შემადგენლობაში, რა თქმა უნდა... კარგია, კარგი, გამოდის, რომ უნდა მოგილოცოთ.

– გმადლობთ, ბატონო კაპიტანო!

ცოტა ხანს ისევ ჩუმად მიდიოდნენ. ჯოვანის ძალიან სწყუროდა, კაპიტნის უნაგირზე კი ხის სამგზავრო მათარა იყო ჩამოკიდებული, რომელშიც წყალი ჭყაპუნობდა.

– ორი წლით? – ჰკითხა ორტიცმა.

– უკაცრავად, ბატონო კაპიტანო, რას ნიშნავს ორი წლით?

– აქ ორ წელიწადს იმსახურებთ, როგორც მიღებულია. ხომ ასეა?

– ორ წელიწადს? არ ვიცი, დროის ხანგრძლივობაზე არაფერი უთქვამთ.

– ოჰ, რასაკვირველია, ორ წელიწადს. თქვენ, ლეიტენანტები, რომელთაც ნოდება ახალი მინიჭებული გაქვთ, აქ ორ წელიწადს რჩებით და მერე მიდიხართ.

– ორ წელიწადს აქ დარჩენა ყველასთვის კანონია?

– რა თქმა უნდა, სტაჟისთვის კი ოთხი წელია სავალდებულო. ამიტომ მოდიხართ აქ, ისე ვინ მოვიდოდა! ეჰ, კარიერის სწრაფად გასაკეთებლად ციხესიმაგრესაც მიეჩვენა კაცი, არა?

დროგომ ამის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ სულელის როლში ყოფნა არ უნდოდა, ამიტომ გადაწყვიტა, არაფრის მთქმელი ფრაზა ეთქვა:

– რა თქმა უნდა, შეიძლება.

ორტიცმა დანყებული საუბარი შეწყვიტა, თითქოს ეს თემა არ აინტერესებდა. მაგრამ ახლა როცა ყინული გალღვა, ჯოვანიმ გაბედა და ჰკითხა:

– ყველას, ვინც ციხესიმაგრეში მსახურობს, სტაჟი უორმაგდება?

– ვინ ყველას?

– ოფიცრებს ვგულისხმობ.

ორტიცმა ეშმაკურად გაიღიმა.

– ყველას! როგორ არა! მხოლოდ უმცროს ოფიცრებს. ასე რომ არ იყოს, აქ განაწილებას არავინ მოითხოვდა.

– მე არ მითხოვია, – თქვა დროგომ.

– არ გითხოვიათ?

– არა, ბატონო კაპიტანო, მხოლოდ ორი დღის წინ გავიგე, რომ ციხესიმაგრეში გამანაწილეს.

– უცნაურია, ნამდვილად უცნაურია.

ორივენი გაჩუმდნენ და თავ-თავის საფიქრალს მიეცნენ. მერე ორტიცმა თქვა:

– ალბათ, სხვა არავის...

დროგო შეკრთა.

– ვერ მივხვდი, ბატონო კაპიტანო.

– მინდოდა, მეთქვა, რომ ალბათ სხვა არავის უნდოდა აქ წამოსვლა და თქვენ გამოგაგზავნეს.

– შეიძლება, ბატონო კაპიტანო.

– დიახ, დიახ, ნამდვილად ასე იქნებოდა.

დროგო მკაფიოდ ხედავდა ცხენების ჩრდილს მტვრიან გზაზე. ყოველ ნაბიჯზე ცხენები თავს აკანტურებდნენ. მხოლოდ მათი ფლოქვების ხმა და დიდი ბუზების ბზუილი ესმოდა, მეტი არაფერი. გზას დასასრული არ უჩანდა. დროდადრო მოსახვევებში, შორს, შეიძლებოდა კლდეში გაჭრილი სერპანტინი დაგენახა. მაგრამ საკმარისი იყო, იმ ადგილას მისულიყავი და ზევით აგეხედა, დაინახავდი, რომ გზა ისევ მთებში მისრიალებდა.

– უკაცრავად, ბატონო კაპიტანო... – უთხრა დროგომ.

– ბრძანეთ, ბრძანეთ, გეთაყვა.

– კიდევ ბევრი დარჩა?

– არა, ალბათ, ორსაათ-ნახევარი, შეიძლება სამიც. თუ ამ ტემპით ვივლით, შუადღისთვის ნამდვილად იქ ვიქნებით.

ცოტა ხანს გაჩუმდნენ. ცხენები მთლად გაოფლიანდნენ. კაპიტნის ცხენი დაიღალა და ძლივსლა მიაბიჯებდა.

– თქვენ სამეფო აკადემიიდან ხართ, ხომ? – ჰკითხა ორტიცმა.

– დიახ, ბატონო კაპიტანო, აკადემიიდან.

– მაშინ მითხარით, პოლკოვნიკი მაგნუსი ისევ იქ არის?

– პოლკოვნიკი მაგნუსი? არა მგონია. არ ვიცნობ.

ახლა ხეობა ვინროვდებოდა და უღელტეხილიდან მომავალი მზის სხივები იქ ველარ აღწევდა. დროდადრო ციცაბო კედლებში ბნელი გვერდითი ხეობები იხსნებოდა და იქიდან სუსხიანი ქარი უბერავდა, წინ კონუსისებრი ციცაბო მთები მოჩანდა. ისინი ისე მაღალი იყო, ალბათ, ორი-სამი დღეც კი არ იქნებოდა საკმარისი მწვერვალებამდე მისაღწევად.

– ლეიტენანტო, მაიორი ბოსკო ისევ იქ არის? ისევ საბრძოლო მომზადებას ხელმძღვანელობს?

– არა, ბატონო კაპიტანო, ასეთი არავინ გამიგია. იქ ციმერმანია, მაიორი ციმერმანი.

– ა, ციმერმანი. მსმენია მისი სახელი. რამდენი წელი გავიდა... ცხადია, ყველას შეცვლიდნენ.

და ორივენი ფიქრებში ჩაიძირნენ. ახლა გზა განათებულ ფერდობზე მიდიოდა. მთა მთას ენაცვლებოდა და უფრო კლდოვანი ხდებოდა.

– გუშინ სალამოს შორიდან დავინახე, – თქვა დროგომ.

– რა, ციხესიმაგრე?

– დიახ, ციხესიმაგრე, – დროგო ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე თავაზიანობის გამო ჰკითხა: – ალბათ, გრანდიოზულია, არა? მე ვეებერთელად მომეჩვენა.

– გრანდიოზული? არა, არა, ერთი პატარა ძველი ნაგებობაა, მაგრამ შორიდან ნამდვილად შთამბეჭდავი ჩანს.

კაპიტანი წამით გაჩუმდა და მერე დაამატა:

– ძალიან ძველია, ყველანაირად მოძველებული.

– კი, მაგრამ ეს ხომ მთავარი ციხესიმაგრეა?

– არა, არა, მეორე კატეგორიისაა, – უპასუხა ორტიცმა.

მას თითქოს სიამოვნებას ჰგვრიდა ციხესიმაგრეზე ცუდის თქმა, მაგრამ ამას განსაკუთრებული ტონით ამბობდა, ისევე, როგორც ზოგიერთს სიამოვნებას ვაჟიშვილის ნაკლოვანებების ხაზგასმა, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს არაფერია მის უამრავ ღირსებასთან შედარებით.

– მკვდარი საზღვრის მონაკვეთია, – დაამატა ორტიცმა, – რომელიც არასოდეს შეუცვლიათ და ისევ ისეა, როგორც საუკუნის წინ იყო.

– მკვდარი საზღვარი რას ნიშნავს?

– საზღვარი, რომელზეც შეიძლება არ იზრუნო. იმის იქით დიდი უდაბნოა.

– უდაბნო?

– დიახ, ქვები და გამომშრალი მიწა. იქაურობას თათრების უდაბნოს ეძახიან.

– რატომ თათრების? იქ თათრები იყვნენ? – ჰკითხა დროგომ.

– ძალიან დიდი ხნის წინ, ალბათ, კი. მაგრამ ეს უფრო ლეგენდაა. არც ერთი ომის დროს იმ მხრიდან არავინ მოგვედგომია.

– ესე იგი, ციხესიმაგრე არავის სჭირდებოდა?

– არავის, – უპასუხა კაპიტანმა.

რაც უფრო ზემოთ მიდიოდა გზა, მით უფრო ცოტა ვეებოდა ხეები, ბოლოს კი საერთოდ გაქრა. აქა-იქ მხოლოდ ბუჩქები ჩანდა. უფრო შორს კი მზისგან გადამწვარი მიწდვრები, კლდეები, წითელი მიწის ნაყარი გადაჭიმულიყო.

– უკაცრავად, ბატონო კაპიტანო, აქ ახლოს სოფლები არის?

– ეჰ, ახლოს არა. დაახლოებით ოცდაათ კილომეტრში სანროკოა.

– როგორც ჩანს, თქვენთან კაცი ვერ გაერთობა.

– ნამდვილად ვერ გაერთობა.

ნელ-ნელა აგრილდა. მთის კალთები თანდათან დაფერდდა, როგორც ჩანს, თხემი შორს აღარ იყო.

– იქ მოწყენილი არ ხართ, ბატონო კაპიტანო? – ისეთი ტონით ჰკითხა დროგომ, თითქოს იმის თქმა უნდოდა, რომ თვითონ ასეთი რამეები ნაკლებად ანაღვლებდა.

– კაცი ყველაფერს ეჩვევა, – უპასუხა ორტიცმა და დაამატა: – დაახლოებით თვრამეტი წელია, აქ ვარ. თუმცა არა, ვცდები, ზუსტად თვრამეტი წელი გავიდა.

– თვრამეტი წელი? – გაკვირვებით აღმოხდა დროგოს.

– თვრამეტი, – უპასუხა კაპიტანმა.

ყვავების გუნდმა ოფიცრებს ჩაუფრინა და ხეობის სიღრმეში ჩაიკარგა.

– ყვავები, – თქვა კაპიტანმა.

ჯოვანიმ არაფერი უპასუხა. იმ ცხოვრებაზე ფიქრობდა, რომელიც აქ ელოდა. უცხოოდ გრძნობდა თავს ამ სამყაროში, ამ მარტოობაში, ამ მთებში.

– უმცროსი ოფიცრებიდან იქ ვინმე რჩება? – იკითხა დროგომ.

– ახლა ცოტა თუ რჩება, – უპასუხა ორტიცმა. თითქმის ნაწილობადაა, რომ ციხესიმაგრეზე ცუდად ილაპარაკა, მიხვდა, რომ ჯოვანის არც ისე კარგი შთაბეჭდილება შეუქმნა. – თითქმის არავინ. ახლა ყველას ბრწყინვალე გარნიზონში უნდა ცხოვრება. ერთ დროს ბასტიანის ციხესიმაგრეში სამსახური საპატიო იყო, ახლა კი ეს თითქმის დასჯის ტოლფასია.

ჯოვანი უსიტყვოდ უსმენდა. მაგრამ კაპიტანი არ ჩერდებოდა:

– ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ხომ საზღვარზე ვმსახურობთ და კადრები ჩვენთან ძირითადად რჩეულია. საზღვარი საზღვარია.

დროგო დუმდა. გული უცებ დაუმძიმდა. ჰორიზონტი გაფართოვდა, შორს კლდოვანი მთების უცნაური სილუეტები გამოჩნდა. ცის ფონზე სალი კლდეების წვეტები მოჩანდა.

– ახლა სამხედრო სამსახურშიც ყველაფერი შეიცვალა, – განაგრძო ორტიცმა. – ერთ დროს ბასტიანის ციხესიმაგრეში სამსა-

ხური დიდი პატივი იყო. ახლა ამბობენ, მკვდარი საზღვარიყო. მაგრამ არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ მკვდარ საზღვარზეც შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

გზას ნაკადული კვეთდა. შეჩერდნენ, რომ ცხენები დაერწყულიყნა, თვითონ კი ჩამოქვეითდნენ და აქეთ-იქით დაიწყეს სიარული, რომ გაშეშებული კუნთები აემოდრავებინათ.

– იცით, ჩვენთან უმაღლესი ხარისხის რა არის? – სიცილით ჰკითხა ორტიცმა.

– რა, ბატონო კაპიტანო?

– სამზარეულო. ნახავთ, ციხესიმაგრეში როგორ იკვებებიან. ამიტომაც არის გახშირებული შემონმება: ყოველ ორ კვირაში აუცილებლად რომელიმე გენერალი შემოივლის ხოლმე.

დროგომ ზრდილობისთვის გაიცინა. ვერ გაეგო, ორტიცი სულელი იყო, რალაცას მალავდა თუ უბრალოდ ლაყბობდა.

– შესანიშნავია! ძალიან მომშვივდა! – თქვა დროგომ.

– ოჰ, ბევრი აღარ დაგვრჩა. ხედავთ პირდაპირ ჩამონაშალ ბორცვს? მის უკან ციხესიმაგრეა.

ჩამონაშალ ბორცვს რომ გასცდნენ, ოფიცრები მართლაც მაშინვე ოდნავ დაფერდებულ ზეგანზე გავიდნენ, ხუთასიოდე მეტრში კი ციხესიმაგრე დაინახეს.

ნამდვილად პატარა ჩანდა იმ შთაბეჭდილებასთან შედარებით, დროგოზე გუშინ სალამოს რომ მოახდინა. ცენტრალური ნაწილი გარეგნულად ჩვეულებრივ ყაზარმას ჰგავდა. პატარა ფანჯრები ჰქონდა, რომლებიც ერთმანეთისგან დიდ მანძილზე იყო გაჭრილი. ამ ნაგებობას ორი დაბალი ქონგურებიანი კედელი აკავშირებდა გვერდით სანგრებთან, რომლებიც ორ-ორი ცალი იყო თითოეულ მხარეს. ასე რომ, ციხესიმაგრის გალავანი არცთუ საიმედო დაცვა იყო ციცაბო კლდეებს შორის მომწყვდეული დაახლოებით ხუთასი მეტრის სიგანის უღელტეხილისთვის.

მარჯვნივ, ფრიალო კლდის ძირას, ზეგანი უნაგირივით ჩალრმავებულიყო: აქ ოდესლაც უძველესი გზა გადიოდა უღელტეხილზე; ახლა ის ციხესიმაგრის გალავანს ებჯინებოდა.

ციხესიმაგრე შუადღის მზის სხივებში იყო ჩაძირული, რომელიც ჩრდილს არ იძლევა (ჩრდილოეთისკენ მიმართული ფასადის დანახვა შეუძლებელი იყო) და სიჩუმე სუფევდა. ორივე მხარეს შიშველი მოყვითალო კედლები იყო აღმართული. საკვამურიდან ოდნავ შესამჩნევი კვამლი ამოდიოდა. ცენტრალური შენობის, გალავნისა და სანგრების ზედა კიდეზე, თავ-თავის მონაკვეთზე, მხარზე შაშხანაგადაკიდებული ათობით გუშაგი დადიოდა წინ და უკან მოზომილი ნაბიჯებით. მათი მოძრაობა ქანქარას ქანაობას ჰგავდა, რომელიც თითქოს დროის სრბოლას ზომავდა ისე, რომ უსაზღვრო მარტოობის მაგიურ მომხიბვლელობას არ არღვევდა.

მარჯვნივ და მარცხნივ, სადამდეც თვალი სწვდებოდა, მიუვალი, ციცაბო მთაგრეხილი გადაჭიმულიყო. ისიც, ყოველ შემთხვევაში, დღის ამ დროს, მოყვითალო და სიცხისგან გადამწვარი ჩანდა.

ჯოვანი დროგომ უნებურად ცხენი შეაჩერა. ნელა ათვალეერებდა პირქუშ კედლებს და ვერაფრით ვერ ხვდებოდა, რას ახსენებდა ისინი. გონებაში გაუელვა აზრებმა ციხეზე, მიტოვებულ სამეფოზე. ქარის მსუბუქმა დაქროლვამ ციხესიმაგრის ზემოთ დროშა შეარხია, რომელიც მოშვებულად ეკიდა. შორიდან საყვირის ხმა მოისმა. გუშაგები ისევ ისე ნელა დადიოდნენ. შესასვლელის წინ, მოედანზე, სამი-ოთხი კაცი (ამ მანძილზე შეუძლებელი იყო გარჩევა, ჯარისკაცები იყვნენ თუ არა) საზიდარს ტომრებით ტვირთავდა. ყველაფერი უცნაურად გახევებულიყო.

კაპიტანი ორტიციც გაჩერდა და ციხესიმაგრეს შეხედა.

– აი ისიც, – თქვა მან, თუმცა ეს ნამდვილად უადგილო იყო.

დროგო ფიქრობდა, ახლა მკითხავს, მოგწონს თუ არაო და ეს ანუხებდა. მაგრამ კაპიტანი დუმდა.

დაბალგალავნიანი ციხესიმაგრე ბასტიანი ნამდვილად არ გამოიყურებოდა შთამბეჭდავად. მასში არც დიდებულება იყო, არც ის მომხიბვლელობა, რომელსაც, ჩვეულებრივ, კოშკები და ბასტიონები სძენს ხოლმე ასეთ ნაგებობას; სრულიად არაფერი იყო ისეთი, რაც ამ სიშიშვლეს შეალამაზებდა და მზერას აამებდა. და მაინც დროგომ, როგორც წინა საღამოს, როცა ხეობის სიღრმიდან